



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #64 მაისი, 2018

გამოშვებაში
წაიკითხავთ

1 მე-3 ეროვნული კიბეროლიმპიადა და „კიბერკუბი 2018“

3 ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) CERT.GOV.GE-ის მენეჯერმა კიბერუსაფრთხოების შესახებ ისაუბრა

3 „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარა

მე-3 ეროვნული კიბეროლიმპიადა და „კიბერკუბი 2018“



საქართველოს უნივერსიტეტებისა და სკოლების წამყვანი გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს მესამე ყოველწლიურ კიბეროლიმპიადაში Cyber-Cube 2018, რომელიც 7 მაისს თბილისში გაიმართა. წელს კიბეროლიმპიადას 150-მდე მონაწილე შეუერთდა.

კიბეროლიმპიადას ორგანიზატორია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა

გაცვლის სააგენტოს (DEA) კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი (CERT.GOV.GE).

კიბეროლიმპიადას მხარდამჭერები არიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ბრიტანეთის მთავრობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ბიზნეს პარტნიორები და სპონსორები: UGT, Huawei, GreenNet, ISSP, Orient Logic და GRENA.

ოლიმპიადას გახსნაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, გიორგი პატარიძემ, ხაზი გაუსვა საქართველოს მიღწევებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების განვითარების საქმეში.

ნიკოლოზ გაგნიძემ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, ხაზი გაუსვა ყოველწლიური კიბეროლიმპიადას მნიშვნელობას ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადების საქმეში (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „წლიდან წლამდე ვაკვირდებით ოლიმპიადის მონაწილეთა უნარების განვითარების პროცესს, მათი მომზადების დონის ზრდას და, რაც მთავარია, ვხედავთ, რომ სულ უფრო მეტ ახალგაზრდას სურს პროფესიული საქმიანობის დაწყება კიბერუსაფრთხოების სფეროში,“ - განაცხადა გაგნიძემ.

კიბეროლიმპიადაში მონაწილე 50 გუნდი ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული კიბერინციდენტების შედეგების აღმოფხვრის, ასევე კიბერკრიზისული სიტუაციების პრევენციის საუკეთესო გზების მოძიებაში ეჯიბრება. მათ შორისაა კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები და ჰაკერული თავდასხმები. ამოცანები საერთაშორისო პრაქტიკასა და CERT.GOV.GE-ის გამოცდილებას ეფუძნება.

„სასიხარულოა, რომ საქართველოს განვითარებაში ამდენი ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდა ერთვება. სისტემური მიდგომა კიბერუსაფრთხოების მიმართ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან წარმატებული თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნებაა“, - განაცხადა მუნხტუია ალტანგერელმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში.

წელს კიბეროლიმპიადა CyberCube 2018 მესამედ ტარდება. 25 წლამდე ასაკის მონაწილეების შერჩევა ეყრდნობა მათ ცოდნასა და გამოცდილებას პროგრამირებაში, ქსელურ და ვებ ტექნოლოგიებში.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობა ხელს უწყობენ CyberCube 2018-ის ჩატარებას, მათი ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობას ემსახურება.



ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU) CERT.GOV.GE-ის მენეჯერმა კიბერუსაფრთხოების შესახებ ისაუბრა



24 მაისს, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიაში გამართულ სესიაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მენეჯერმა, **დავით ქვათაძემ** სესიის - „კიბერომი საქართველოს წინააღმდეგ“ ფარგლებში კიბერუსაფრთხოების გამოწვევებზე ისაუბრა.

დისკუსიაზე მთავარი ყურადღება დაეთმო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კიბერგანზომილებას, ასევე განიხილეს კიბერშპიონაჟის ფაქტები, სხვა გახმაურებული კიბერშეტევები, მათი ტექნოლოგიური და პოლიტიკური მხარე. რა გვასწავლა ომმა კიბერსივრცეში?

კიბერუსაფრთხოების მდგომარეობა მაშინ და ამჟამად.

„ყოველთვის საინტერესოა მსგავს ფორმატში აუდიტორიასთან შეხვედრა. ეს კარგი საშუალებაა საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობისა და გამოწვევების შესახებ“, - **დავით ქვათაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE)

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარა

მიმდინარე წლის მაისის მეორე ნახევარში, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარეს, რომელსაც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.



სატრენინგო პროგრამა 3 ძირითად მიმართულებას მოიცავდა: „ინფორმაციული უსაფრთხოება: შესავალი, დანერგვა, აუდიტი“; „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის რისკების მართვა“; „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტორი“.

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი წარმოადგენს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციას, რომლისთვისაც სავალდებულოა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების ქონა და ამ მიმართულებით შესაბამისად მომზადებული კადრების არსებობა. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის გამართული მუშაობა წარმოადგენს გარანტს, რომ მოქალაქე მიიღებს მაღალი ხარისხის მომსახურებას და მისი ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, გამოცდების ეროვნული ცენტრი, საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა. მსგავსი ორგანიზაციების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ (გაგრძელება გვ. 3)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) ტრენინგის განმავლობაში, პრაქტიკულ სავარჯიშოებთან ერთად, მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების რეალურ გარემოში დანერგვის გზებს, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების აუდიტის კონკრეტულ საკითხებს, შესაბამის კანონებსა და ქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

ტრენინგი 10 დღის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულდა ტესტირებით, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზეც გაიცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სერტიფიკატები.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ